ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

37 (9927) • 3 oqtomberi • 2011 w.

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

ალიონი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 20 თეთრი

ლელა იმედაშვილი ჩოხატაურის გამგებლად დაინიშნა

საქართველოს განათლების სისტემის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული რესურსცენტრის ხელმძღვანელი, რომელიც 13 წელი უძღვებოდა ჯერ გურიის სასკოლო ოლქს, ხოლო შემდეგ ოზურგეთის რესურსცენტრის ხელმძღვანელი იყო, გასულ პარასკევს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებლად დაინიშნა.

ლელა იმედაშვილის მუნიციპალიტეტის გამგებლად დანიშვნა პირველი პრეცედენტია „ვარდების რევოლუციის" შემდეგ საქართველოს ისტორიაში. ქალის ასეთ საპასუხისმგებლო პოსტზე დანიშვნა განპირობებულია მისი პიროვნული თვისებებით. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქალბატონი ლელას მამა დავით იმედაშვილი ათეული წელი წარმატებით უძღვებოდა ერთ-ერთ რთულ დარგს—კავშირგაბმულობის სისტემას.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ლელა იმედაშვილი კომუნიკაბელური პიროვნებაა და ჟურნალისტებთან ყოველთვის კარგი ურთიერთობები აქვს.

ლელა იმედაშვილის თქმით, ოზურგეთის რესურსცენტრის ხელმძღვანელად ნანიკო ნაცვალაძე დაინიშნება.

„ეს არის ჩოხატაურის საკრებულოს მიმართ, სრული უნდობლობის გამოცხადება"

ნინო ნიკოლაიშვილი

— არ შეიძლია არ გამოვეხმაურო ჩოხატაურის გამგებლის დანიშვნის ფაქტს, ჩემი აზრით, ეს თავსმოხვეული, არაგონივრული გადაწყვეტილებაა, რომელიც ანგრევს თვითმართველობის ძირეულ პრინციპებს. ეს არის ჩოხატაურის საკრებულოს მიმართ სრული უნდობლობის გამოცხადება და გარკვეულ წილად ჩოხატაურის საზოგადოებისთვის მინიმუმ უპატივცემულობის გამოხატულება." ეს განცხადება გააკეთა გურიის თავისუფალი დემოკრატების ლიდერმა თემურ სალუქვაძემ, რომელმაც ჩოხატაურის გამგებლად ოზურგეთელი, თუნდაც ნიჭიერი კადრის დანიშვნას, ვინც არ უნდა ყოფილიყო ის, არაკანონიერი და არაეთიკური უწოდა, რადგან მისი თქმით, მუნიციპალიტეტის გამგებელი უნდა დანიშნულიყო ჩოხატაურის საკრებულოს წევრებს, ან ჩოხატაურის საზოგადოების წარმომადგენლებს შორის, რომელთაც მეტად ეცოდინებოდათ თავიანთი რაიონის სპეციფიკა და პრობლემები.

აღნიშნა, რომ, ასეთ არასწორ საკადრო პოლიტიკას კარგი არაფერი მოუტანა ჩვენს ქვეყნისთვის.

—„არსებული ხელისუფლების საკადრო პოლიტიკამ რა შედეგებიც მოგვიტანა, ჩვენ ყველამ კარგად ვიცით და რა თქმა უნდა ჩვენ გონივრულ, სწრაფ ქმედებებს აღარ ველოდებით. ასეთი გადაწყვეტილებები ძალუძთ ვითომ დიდ პოლიტიკოსებსა და ვითომ დიდ გურულებს, რომლებიც პიარით აშენებენ საქართველოს, რომლის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი გაუსაძლის მდგომარეობაში ცხოვრობს."

ბრიფინგის მეორე ნაწილში საჯარო სამსახურების მონიტორინგის ჯგუფის ხელმძღვანელად თემურ სალუქვაძე გელა ბურჯანაძე წარადგინა.

გელა ბურჯანაძე: —ჩვენ, „თავისუფალ დემოკრატებს" მიგვაჩნია, რომ დღევანდელი სახელისუფლო შტოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დიდი ნაწილი გასულია სამართლებრივი სივრციდან, ირღვევა პროცედურული ნორმები, არ ითვალისწინებენ საზოგადოების აზრს, გაუგებარია მათი საკადრო პოლიტიკა. გადაწყვეტილებებსა და რაიონულ ინტერესებს შორის არის სრული დეინტეგრაცია.

ერთ-ერთ მაგალითად ორიოდ თვის წინ მუნიციპალიტეტის ყოფილ გამგებელთან დაკავშირებული ფაქტი დაასახელა გამომსვლელმა და აღნიშნა, რომ ეს არ მოხდებოდა, საზოგადოება რომ მეტად ყოფილიყო ჩართული თვითმართველობის მუშაობაში.

სოხუმის დაცემის დღე ოზურგეთში

18 წელი გავიდა სოხუმის დაცემიდან. 27 სექტემბერს ტრადიციულად შეიკრიბნენ ქალაქის პარკში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ხსოვნის ობელისკთან ომის ვეტერანები, ომში დაღუპულთა მშობლები, საზოგადოების წარმომადგენლები.

დაღუპულ მებრძოლთა მოსახსენებელი პარაკლისი გადაიხადა მამა თომამ (გოგოტიშვილი). შემდეგ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამხედრო აღრიცხვისა და მობილიზაციის სამსახურის უფროსმა ილია ლეჟავამ ჯვართამაღლების დღესასწაული მიულოცა იქ შეკრებილთ და აღნიშნა, რომ 50-მდე ოზურგეთელი დაიღუპა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში.

შეკრებილთ მიესალმნენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ალეკო მამეშვილი და მუნიციპალიტეტის გამგებელი ილია ვაშაყმაძე.

* * *

საქართველოს „თავისუფალი დემოკრატების" და ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის ოზურგეთის ორგანიზაციების წარმომადგენლებმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ხსოვნის ობელისკი და ზაზა დამენიას საფლავი ყვავგაგვისუფთავებსო. ჩვენს ირგვლივ ტერიტორიას ჩვენ თვითონ უნდა მოვუაროთ. ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ კვირაში ერთხელ მოვაწყოთ მსგავსი ტიპის გასვლები სოფლებში. თუ ადგილობრივი მოსახლეობა შემოგვიერთდება მოხარული ვიქნებით. ჯუმათით დავიწყეთ და სხვა სოფლებშიც მივალთ—გვითხრეს აქციის ორგანიზატორებმა.

დასუფთავების აქცია ჯუმათში

მარი კოძოევი

ოზურგეთის დასუფთავების სამსახურის ახალი უფროსი ვოვა სალუქვაძე მოვალეობის შესრულებას შეუდგა. მან აქტიურად დაიწყო ზრუნვა ქალაქის და სოფლების დასუფთავების გაუმჯობესებაზე. როგორც ბატონი ვოვა ამბობს, აღნიშნული სამსახურის თანამშრომლები ხშირად გავლენ სოფლებში.

პირველი სოფელი, რომელსაც ვოვა სალუქვაძე თანამშრომლებთან ერთად ეწვია, სოფ. ჯუმათი იყო. ჯერ შუშანდარში ნინოშვილის სახელობის წყარო, შემდეგ—სოფლის ცენტრში საჯარო სკოლის მიდამოები, აგარაკზე ჯუმათის მონასტრის მიდამოები დაასუფთავეს.

—დიდი სურვილი გვაქვს, რომ დასუფთავების აქციაში სოფლის ადგილობრივი მცხოვრებლები ჩაერთონ. მათი გააქტიურება ამ კუთხით კარგ შედეგს გამოიღებს. ვიღაცას კი არ უნდა მოვუცადოთ, მოვა და

ცრემლითა და ემოციებით გაჯერებულ თათბირზე

ნინო ნიკოლაიშვილი

ლელა იმედაშვილი, ჩოხატაურის გამგებლად წარდგენის შემდეგ იმავე დღეს გამოსათხოვარ თათბირზე ოზურგეთის საჯარო სკოლათა დირექტორებსა და პედაგოგებს შეხვდა. - ყველაზე უფრო რბილი, ყველაზე უფრო დამტკბარი ალბათ დღეს ვარ თქვენს წინაშე. მინდა გითხრათ, რომ ყველანი ძალიან მიყვარხართ — ამ ცრემლნარევი, ემოციური მიმართვის შემდეგ, მან იმ გაწეული მუშაობის შესახებ ისაუბრა, რომელსაც ოზურგეთელ პედაგოგთა დიდ არმიასთან ერთად ეწეოდა და მათ კარგი შრომისათვის მადლობა გადაუხადა. აღნიშნა, რომ მიუხედავად სხვა სამსახურში გადასვლისა, ყოველთვის ექნება მათთან კავშირი და მათი დამცველი იქნება. ასევე გამოთქვა იმედი, რომ ასე კარგად აწყობილი სისტემა და წარმატებული საქმიანობა ახალი ხელმძღვანელის თაოსნობით კვლავ გაგრძელდება და ოზურგეთის განათლების რესურსცენტრი ისევ საუკეთესოთა შორის იქნება. მისი თქმით, მისთვის ადვილი არ იყო ახალი გამოწვევის მიღება, მაგრამ როგორც სახელმწიფო მოხელეს, ამისი ვალდებულება ჰქონდა და მადლობელი იქნება უფლის, თუკი ასევე წარმატებულად შესძლებს ახალ სამსახურში მუშაობას, სადაც გაცილებით მეტი სირთულე და პასუხისმგებლობა ელოდება.

ასევე ემოციური გახლდათ დირექტორთა და თანამშრომელთა გამოსვლები, რომლებმაც მადლობა გადაუხადეს რესურსცენტრის უკვე ყოფილ ხელმძღვანელს კარგი მუშაობისა და თანადგომისთვის.

ლელა იმედაშვილი: უკვე მეთოთხმეტე წელია, რაც ამ სფეროში ვიხარშები. ის, რაც ჩვენ გავაკეთეთ, ამ ადამიანების დამსახურებაა. ფაქტიურად სამი ათასზე მეტი ადამიანია ოზურგეთის განათლების სფეროში დასაქმებული და თუ აქედან ნახევარს მაინც ის ემოცია აქვს, რაც დარბაზში იყო, ვთვლი, რომ ბედნიერი ადამიანი ვარ და რაც მე ვაკეთე, იყო სწორი. მე მივდივარ, მაგრამ ვტოვებ საათივით აწყობილ განათლების სისტემას, რომელიც არის ერთგული ადამიანებისგან ჩამოყალიბებული, სადაც არ არის ქიშპოდა და არის საქმის სიყვარული. ნებისმიერ დროს ისინი ჩემს გვერდით იდგნენ, მე მინდა მადლობა გადავუხადო მათ.

ვთვლი, რომ რთული, საინტერესო, საპასუხისმგებლო გამოწვევა მელოდება და ამ ხალხის სიყვარული მე ამ გამოწვევას დამაძლევინებს."

მთისპირლებს მგლები არ ასვენებს

ამ ზაფხულს სოფ. მთისპირში, უკანავას უბანში მცხოვრებ მარკოიძის მიერ დათვთან ბრძოლაზე ვწერდით, რომელიც საბედნიეროდ სავალალო შედეგით არ დასრულდა. დათვთან ბრძოლაში დაზარელებული სიკვდილს გადურჩა და ახლა კარგად გრძნობს თავს. სამწუხაროდ მგლების და დათვების შეტევა სოფელზე გრძელდება. ისინი კვლავ ანადგურებენ შინაურ ცხოველებს.

ამ რამდენიმე დღის წინ მგელმა სოფ. მთისპირში, ერთ-ერთ ცენტრალურ უბანში, ეზოსთან ახლოს იური ნემსაძის ფური დაგლიჯა მტაცებელმა.

მთისპირლები ხელისუფლებისაგან დახმარებას ითხოვენ მტაცებლებთან ბრძოლაში.

ძვირფასო პედაგოგებო, გილოცავთ მასწავლებლის დღეს!

„ქვეყნად არც ერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი რომ არ ჰყოლოდა“

ნინო ნიკოლაიშვილი

ვინ ჩაიხედა მასწავლებლის გულში, იქ რამდენი ბავშვის სიყვარულია; ვინ გაზომ-აწონა მასწავლებლის შრომა, ან მისგან ქმნილი საკეთილო საქმენი, მასწავლებლის ზნეობას, სინდისსა და ნიჭიერებას უკავშირდება ერის სიძლიერე, მას შეცდომის დაშვების უფლება არ აქვს. აკი წერდა კიდეც დიდი იაკობ გოგებაშვილი –„ერთი ძირითადი კანონი პედაგოგიისა ამბობს: ერიდე შეცდომას. ისე საჭირო არასდროს არ არის ამ კანონის დაცვა, როგორც სწავლის დასაწყისში.“

ამიტომაც არის მასწავლებლის პროფესია ესოდენ რთული, მაგრამ დიდი და საპატიო. რამდენი მასწავლებლის შრომაა გმირობად ჩასათვლელი. რამდენი მასწავლებელია მოსაფერებელ-სათაყვანებელი.

მასწავლებლის დღეს გილოცავთ ძვირფასო მასწავლებლებო.

მასწავლებლებს ულოცავენ სკოლათა დირექტორები:

ლალი სიჭინავა, *ცხემლისხიდის საჯარო სკოლა:* ყველას მინდა მივულოცო მასწავლებლის დღე, სრულიად საქართველოს მასწავლებლებს. დიდი მისია გვაკისრია ერის წინაშე. უნდა ვიზრუნოთ მომავალი თაობების თეორიულ და სულიერ აღზრდაზე. ჩვენი მასწავლებლები ამას შესძლებენ და კარგად გაართმევენ თავს.

ნინო სადრაძე, *შემოქმედის საჯარო სკოლა:* მასწავლებლის დღე პროფესიული დრესასწაულია, მინდა, რომ ყველა მასწავლებელი იყოს წარმატებული, ბედნიერი, ჯანმრთელი. საუკეთესო თაობას ვუსურვებ. მასწავლებლობა ტვირთია ერთგვარი. ყველა მასწავლებელს ვუსურვებ წარმატებულად ზიდოს ეს ტვირთი ცხოვრების ბოლომდე

მზია ვაშალომიძე, *ბახვის საჯარო სკოლა:* ერთ ფრაზას გავიხსენებ, „მასწავლებელო, მასწავლებლობას, გმირობად გითვლის ერი.“ ეს სიტყვები როცა ითქვა, შეიძლება მაშინ არა, მაგრამ დღეს, ნამდვილად მიმაჩნია გმირობად. ყველა მასწავლებელს ვუსურვებ გამძლეობას, მოთმინებას, ცოდნისაკენ დაუოკებელ სწრაფვას. ჩვენს მასწავლებლებს არ დაეხიოთ სიძნელეების წინაშე უკან და ყოველთვის ეთქვათ, რომ სხვისი მისაბაძი კი არა, ქართული სკოლა ყოველთვის იყო ერთ-ერთი წამყვანი სკოლა და ვუსურვებ საქართველოს მასწავლებლებს ქართული სკოლის სახელი შორს გაეთქვას.

მერი საბაშვილი, *№5 საჯარო სკოლა:* ვფიქრობ, რომ მასწავლებლობა ადამიანისთვის თანდაყოლილი ნიჭია, რომელიც განსაკუთრებულ ემოციებს იწვევს. მე ვამაყობ იმით, რომ ვარ მასწავლებელი.

სწავლების ხელოვნება არის ნორჩ სულებში ცნობის-მოყვარეობის გამოწვევა და მერე მისი დაკმაყოფილების ხელოვნება

ანატოლ ფრანსი.

მინდა ვუსურვო მათ გამძლეობა, შემოქმედებითობა და სიახლეების მაძიებლობის წყურვილი.

მაია თავართქილაძე, *№1 საჯარო სკოლა;* მასწავლებლის დღეს მივულოცავ ჩემი სკოლის, ჩემი ქვეყნის ყველა პედაგოგს, განსაკუთრებით ამ რთულ პერიოდში. ვუსურვებ მათ კონტიგენტის სიმრავლეს, შემოქმედებით და საზოგადოებრივ წარმატებებს და პირად და ოჯახურ ბედნიერებას. ყველა პედაგოგისთვის თავიანთი გეგმების ასრულების წელი ყოფილიყოს მიმდინარე სასწავლო წელი.

ირინა ინარიძე, *№2 საჯარო სკოლა:* მასწავლებელს უდიდესი ფუნქცია აქვს ერის წინაშე, მით უმეტეს ჩვენს დროებაში. ძალიან ბევრი გამოწვევის და დიდი მოთხოვნების წინაშე არის მასწავლებელი განსაკუთრებით წლევანდელ სასწავლო წელს. ისინი საკმაოდ მომზადებულნი შეხვდნენ ამ გამოწვევებს. ვუსურვებ მათ ჯანმრთელობას, გამძლეობას. ყოველთვის ეამაყომთ თავიანთი გაზრდილი თაობებით.



ტარიელ კალანდაძე, *№4 საჯარო სკოლა:* სრულიად საქართველოს მასწავლებლებს ვულოცავ ამ ლამაზ დღეს. მასწავლებლობა დიდი პასუხისმგებლობაა ერის წინაშე. რომელსაც წარმატებით ართმევენ თავს ჩვენი მასწავლებლები. ყველას ვუსურვებ ჯანმრთელობას, წინსვლასა და წარმატებებს, ჯანსაღი თაობების აღზრდას.

ნანა ჯეიშვილი, მთისპირის საჯარო სკოლა: ჩვენ, მაღალმთიანი სოფლის მასწავლებლები, ყველა მასწავლებელს ვულოცავთ პროფესიულ დღეს, ვუსურვებთ წინსვლას, როგორც საზოგადოებრივ, ასევე პირად საქმიანობაში. ვუსურვებთ ლამაზი და ფაქიზი სულის ადამიანების აღზრდას. მინდა ვთქვა, რომ განსაკუთრებით დასაფასებელია მაღალმთიანი სოფლების პედაგოგთა შრომა. ჩვენ კიდევ უფრო რთულ პირობებში ვშრომობთ, ვინარჩუნებთ სკოლას და მთელ სოფელს, რადგანაც სოფელი, სადაც სკოლა არ არის, მკვდარია.

ძვირფასო მასწავლებლებო!

გილოცავთ მასწავლებელთა საერთაშორისო დღეს! თქვენი მისია საზოგადოების მომავლის შექმნის საქმეში უდიდესია.

გისურვებთ წარმატებებს!

მაია ნიკოლაიშვილი,
ოზურგეთის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორი

გილოცავთ!

ძვირფასო მასწავლებლებო! გილოცავთ მასწავლებელთა საერთაშორისო დღეს! შეუფასებელია თქვენი შრომა ჩვენი საზოგადოების განვითარებასა და წინსვლაში.

გისურვებთ ჯანმრთელობას და წარმატებებს!

ვანო ტაბატაძე
საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ოზურგეთის სერვისცენტრის უფროსი

პატივცემულო პედაგოგებო!

შპს „საპროექტო“ გილოცავთ მასწავლებელთა საერთაშორისო დღეს! ჯანმრთელობას, ბედნიერებას, უფლის წყალობას ვუსურვებთ თითოეულ თქვენთაგანს.

ძვირფასო მასწავლებლებო!

შპს „ამბაზი 3“

გილოცავთ პროფესიულ დღესასწაულს! გისურვებთ ერის სიმრავლეს, წარმატებულ საქმიანობას, ბედნიერებას პირად ცხოვრებაში.

პატივცემულო პედაგოგებო!

გილოცავთ მასწავლებელთა საერთაშორისო დღეს! გისურვებთ მრავალ საინტერესო და ნაყოფიერ სასწავლო წელს!

შპს „ვასაძის პური“

მოხუცი გიგო

როცა ვსწავლობდი სოფლის სკოლაში
მაშინ მხოლოდდა ოთხწლედი იყო,
იქიდან მახსოვს კეთილი კაცი
სკოლის დარაჯი, მოხუცი გიგო.
მახსოვს ზამთარში, როცა ციოდა
იგი ბუხარში ცეცხლს აანთებდა,
სულ ფუსფუსებდა, საქმიანობდა
და სკოლაშივე ღამეს ათევდა.
თავისუფალ დროს ბავშვებს გვიხმობდა,
ნორჩებთან ისე გაერთობოდა,
თვისი ასაკი ავიწყდებოდა.
ფოტო შემომრჩა იმ წარსულ დროთა,
ჩავცქერი, ვხედავ ბევრი დაგვშორდა,
კეთილშობილი მოხუციც მოკვდა
და სადღაც გაქრა ჩემი ბავშვობაც.
ხან გამიელვებს იმ წლების ალი,
მოგონებები გულში ირწევა,
ისევ ინთება კლასის ბუხარი
და გაკვეთილი ისევ იწყება.

ნოდარ დონაძე,
სოფ. თხინვალი.

ტკივილი, რომელიც არ ნელდება, ანუ აფხაზეთის ომის ერთი დღე

ნუგზარ ასათიანი

ქართულ-აფხაზური ომი ერთ-ერთი ტკივილიანი ფურცელია საქართველოს ისტორიაში. ქვეყნის მრავალსაუკუნოვან ისტორიას ახლოვს ძმათა ბრძოლები, მაგრამ ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის მიერ ინსპირირებული ერთფლიანი ომი განსაკუთრებული ვერაგობით, სისასტიკით გამოირჩეოდა. რუსმა „მშვიდობისმყოფელებმა“ ესეც არ იკმარეს და 2008 წლის აგვისტოს ომი შემოგვთავაზეს, რათა საბოლოოდ გაეფორმებინათ თავიანთი იმპერიული ზრახვები და აფხაზეთი და სამაჩაბლო დიდი ხნით ჩამოეცილებინათ საქართველოსათვის.

აფხაზეთის ომს გაზეთმა „ალიონმა“ არაერთი წერილი თუ სტატია მიუძღვნა. ჩვენი ჟურნალისტები ხშირად ხვდებოდნენ ომის მონაწილეებს. მახსოვს, 1993 წლის გაზაფხულზე მამა მათესთან ერთად ჯუმათის მონასტერში მივდიოდით. მაშინ ავტომანქანები ნაკლებად მოძრაობდნენ ქალაქიდან დაშორებულ დასახლებულ პუნქტებში. გზად ფრონტიდან მომავალი ჯარისკაცი დაგვემგზავრა. ჯუმათელი თამაზ ქალდანი მოკლევადიანი შვებულებით სოხუმიდან მოდიოდა. ვისაუბრეთ. ... იმ დღეს ჯუმათის მონასტერში ბათუმ-შემოქმედელმა მიტროპოლიტმა მეუფე იობმა პარაკლისი გადაიხადა. გაზეთში კი დაიბეჭდა „ჯუმათელი... თამაზ ქალდანი.“ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლებთან გაზეთ „ალიონს“ დღესაც ახლო ურთიერთობა აქვს.

27 სექტემბერს ოფიციალური ღონისძიების დამთავრების შემდეგ ვეტერანები მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად თანამებრძოლების საფლავებზე გავიდნენ.

სოფ. მელექედურში ხვიჩა ღლონტის საფლავი მოინახულეს. შემდეგ დაბა ნასაკირალში არტურ აივაზიანის და დიმიტრი თალაკვაძის საფლავზე გავიდნენ.

ჩემს გვერდით ოზურგეთის სწრაფი რეაგირების მე-18 ბატალიონის ყოფილი მებრძოლები იყვნენ.

დიმიტრის საფლავმა ის საბედისწერო დღე გაახსენათ, როცა მტრის ტყვიამ ხუთი ოზურგეთელის სიცოცხლე შეიწირა.

— „ომის დაწყებიდან ერთი თვეც არ იყო გასული. ჩვენი ბატალიონი სოხუმთან ახლოს, სოფ. კინდღში იდგა. ბატალიონს ვიტალი ჯაში ხელმძღვანელობდა. შტაბიდან დავალება მივიღეთ და სადაზვერვო დავალებაზე უნდა წავსულიყავით. ჯარისკაცები სოფელში დავტოვეთ. ვიტალის გარდა სადაზვერვო ჯგუფში შედიოდნენ ოფიცრები: ბერდია ცეცხლაძე, გურამ ასათიანი, გელა ბაქანიძე, მერაბ გორდელაძე, მიხეილ ღლონტი, ვახტანგ გოგუაძე, ბადრი ბერაძე.

სოფ. ცაგერას მისადგომებთან ერთერთ ეზოში ჭასთან ჩასაფრებული დავინახეთ. სანადირო თოფით დარაჯობდა გზას თექვსმეტიოდე წლის ბიჭი. მანქანის დანახვაზე წამოხტა და ყანისკენ გაიქცა. მტრის მზვერავის ლიკვიდაცია ადვილად შეგვეძლო, მაგრამ როგორ ვესროდით...

როგორც ჩანს მზვერავმა სათანადო ინფორმაცია მიაწოდა მოწინააღმდეგეს და ჩასაფრება მოაწყვეს. ისინი მაშინ უნდა დაგვსხმოდნენ თავს, როდესაც უკან დავბრუნდებოდით, თუმცა ჩვენ უკან დასაბრუნებლად სხვა გზა ავირჩიეთ.

რომ შეგვაგვიანდა, ჯარისკაცებს უფიქრიათ, სადაზვერვო ჯგუფს მგონი თავს დაესხნენ და მიშველება სჭირდებათო.

ჯარისკაცებმა გადაწყვიტეს მოგვშველებოდნენ. „ზილ-131“-ით წამოვიდნენ. მათ საჩხერელი გვარდიელებიც წამოყვნენ ერთი „ბეტეერით“. ჩვენს დასახვედრად ჩასაფრებულმა „ბოევიკებმა“ (ომის მონაწილეთა ერთი ჯგუფი ამბობს, რომ ეს შემთხვევა მოხდა სოფ. ლაბრაში—რედ.) საბრძოლო მანქანა გაატარეს და „ზილ-131“-ს ორთავე მხრიდან აუტეხეს სროლა. ორღობეებში „ბეტეერმა“ მანევრირება ვერ შეძლო და უთანასწორო ბრძოლაში დარჩა 8 მებრძოლი. საშინელება დატრიალდა. დაიღუპნენ დიმიტრი თალაკვაძე, შემოქმედელი გოჩა შილაკაძე, მერიელები მერაბ, ჯონდი, ბესო ვასაძეები. ჯონდის ძმას ჯამბულს თავში სამკუთხედი ჭრილობა ჰქონდა. მძიმედ დაიჭრა ჩოხატაურელი მებრძოლი, ხოლო თბილისელი გოჩა მკვდრების ქვეშ აღმოჩნდა და იარაღის წასაღებად მანქანის ძარაზე ასულ „ბოევიკებს“ გადაურჩათ.

საჩხერლები მოვარდნენ წითელი „08“-ით და შეგვატყობინეს, ოზურგეთის ბატალონს დაესხნენ თავსო. ახლა ჩვენ წავედით ჩვენი ბიჭების გადასარჩენად. „დიდგორის“ ბატალიონიდან „გიჟუა“ წაგვყვა ტანკით.

ჩვენ რომ მივედით, ბრძოლა დასრულებული იყო. სისხლის გუბე იდგა. 5 ოზურგეთელი ჯარისკაცი იყო მოკლული. დაჭრილები სოხუმში გადავიყვანეთ. ჯამბულ ვასაძეს ურთულესი ოპერაცია გაუკეთეს სოხუმელმა ნეიროქირურგებმა, სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს...

გაქცეულ „ბოევიკებს“ დავედევნეთ. ცეცხლი გავუხსენით. რამდენიმე მოვკალით. ორ მკვდარ „ბოევიკს“ დავხედეთ. ერთი ჩრდილოკავკასიელი იყო, მეორეს სომხური ტატუ ჰქონდა მარჯვენა ხელზე...

დაღუპული მებრძოლები ოზურგეთში ჯიმი მაისურაძის ვერტფრენით მე, ვიტალი ჯაშმა და გურამ ასათიანმა გადმოვასვენეთ“ —გვითხრა გელა ბაქანიძემ.

ხმაურით გაიხსნა შამპანურის ბოთლი. ცრემლმორეულებმა უხმოდ შესვეს თანამებრძოლების შესანდობარი.

„ქართული ხელოვნების ამაგდარი“

წარუდექით მკითხველს...

ოზურგეთის მუნიციპალიტეტთან არსებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ქორეოგრაფიულ ანსამბლ "გურიას" ხელმძღვანელი ჯუმბერ დუნდუა.

— გზა, რომელიც გაიარეთ...

— ანსამბლმა რთული, დაძაბული, ამასთან, საინტერესო და ნაყოფიერი გზა განვლო. 1980 წლიდან 1996 წლამდე არსებობდა როგორც თვითმოქმედი კოლექტივი. 1996 წელს კი მიენიჭა სახელმწიფო ანსამბლის წოდება. ამ წელს ჩატარდა საქართველოს სახელმწიფო ანსამბლებისა და გამგეობებთან არსებული კოლექტივების ფესტივალი, რომელსაც ესწრებოდნენ კულტურის მაშინდელი მინისტრი ვალერი ასათიანი და ქართული ნაციონალური ბალეტის ხელმძღვანელი თენგიზ სუხიშვილი. ანსამბლმა "გურიამ" ფესტივალზე პირველი ადგილი აიღო, ჯოლდოდ კი ბრინჯაოში გამოკვეთილი მოცეკვავე ომარ მხეიძის ქანდაკება გადაეცა. ბატონმა ვალერიმ უთხრა თენგიზს: "ასეთ ანსამბლს ნამდვილად უნდა ჰქონდეს სახელმწიფო ანსამბლის წოდება", რაზედაც პასუხად მიიღო- "ჩვენ აქ არა ვართ?!" გადაწყდა, ანსამბლ "გურიას" სახელმწიფო ანსამბლის წოდება მიენიჭა. დღემდე მუხლჩაუხრელად ვშრომობთ. უამრავი გასტროლი, სიგელი თუ ჯილდო ჩაიწერა ანსამბლის ბიოგრაფიაში. ყოველთვის გვქონდა მისწრაფება, ვყოფილიყავით პირველები, ამის რეალური შანსი დღესაც მოგვეცა - ოზურგეთში ტარდება საქვეყნოდ ცნობილი დამსახურებული ინჟინრის, საქართველოს სახალხო არტისტის, მრავალი ცეკვის ავტორის გიორგი სალუქვაძის სახელობის ფესტივალ-კონკურსი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ანსამბლი "გურია" და ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის სახელობის ბავშვთა ქორეოგრაფიული სკოლა-სტუდია ანსამბლი "შეგობრობა". ამ ორი კოლექტივის დირექტორი, სამხატვრო ხელმძღვანელი გახლავართ მე და ჩემი შვილები - კობა და ნათია. ვიმედოვნებთ, გამარჯვებას მოვიპოვებთ, სურვილი და მისწრაფება ასეთია. წინ კი ბევრი საინტერესო კონცერტი და მოგზაურობა გველოდება... აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ანსამბლის ფუნქციონირებისა და წარმატების საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომელთა მხარდაჭერაც ძალიან დიდი სტიმულია ჩვენთვის.

— თბილისის მერის საჩუქარი. რას ნიშნავს ეს საჩუქარი თქვენთვის?

— 24 სექტემბერს მიწვეული ვიყავი

საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა საერთო ეროვნული კავშირის გამგეობის თათბირზე, სადაც სრულიად მოულოდნელად თბილისის მერმა გიგი უგულავამ გადმომცა საპატიო სიგელი მედლით "ქართული კულტურის ამაგდარი". ეს ჯილდო ჩემთვის ძალიან ძვირფასი და მნიშვნელოვანია.

— სამომავლო გეგმები

— გეგმები დიდია. პირველ რიგში ვემზადებით კონკურს-ფესტივალისთვის. მინდა გამცნოთ, მე და ვაჟა ახვლედიანმა აღვადგინეთ ბატონ გიორგი სალუქვაძის ორი შესანიშნავი გურული ცეკვა - "კალმახობა" და "საფუნდრუკო". დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ბატონ ვალერი ჩიტაიშვილს, ალეკო მამეშვილსა და ილია ვაშაყმაძეს, რომ შეგვაძლებინეს ცეკვა "კალმახობის" კოსტიუმის შეკერვა, რომლითაც წარვდგებით მაყურებლის წინაშე. ამ ფესტივალში თითქმის მთელი საქართველო მონაწილეობს, ძალიან საპასუხისმგებლოა და შესაფერისადაც ვემზადებით.

— მომავალი ჩვენია! გთხოვთ, გვესაუბროთ პატარების შემოქმედებით ჯგუფზე - რამდენი მოსწავლე ყავს სტუდიას და გყავთ თუ არა ფავორიტები, რომელთაც თამამად შეგიძლიათ უწოდოთ თქვენი აღმოჩენა?

— მე გეტყოდით, ნამდვილად ჩვენია მომავალი... ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის სტუდიას ყავს მართლაც გამორჩეული და წარმატებული ბავშვები. ისინი სერიოზულად ემზადებიან, ჩაეწერონ ნაციონალური ბალეტის მოცეკვავეთა რიგებში. ფავორიტი ძალიან ბევრი გვყავს, თამამად შეგვიძლია, ვუწოდოთ ჩვენი აღმოჩენა, სახელობითი ჩამოთვლა კი არ მინდა, იქნებ ვინმე გამომრჩეს და გული უნდა ვატკინო. ერთი რამ მინდა გითხრათ, დღეს რომ დარბაზი ნახეთ, იქ აღიზარდა სუხიშვილის 26 წამყვანი მოცეკვავე. არ არსებობს ანსამბლი ქალაქ თბილისში, ბათუმსა თუ ქუთაისში, ჩვენი აღზრდილები არ ეუფლებოდნენ ქართული ცეკვის ოსტატობას.

— როგორია ოზურგეთელი მაყურებელი?

— ოზურგეთელი მაყურებელი ძალიან მომთხოვნი და გემოვნებიანია, ამასთან თბილი და ხელოვნების დიდი მოყვარული, მათი ხედვა ამ საქმის მიმართ სერიოზულია შეფასება-პროფესიონალური.

იზა დარჩია,
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
გამგეობის პრესსამსახური

გურიის გუბერნატორი გალერიან ჩიტაიშვილი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საპრეზიდიუმოს თავმჯდომარე ალეკო მამეშვილი და გამგეობის მოგალეობის შემსრულებელი ილია გაშაყმაძე ულოცავენ ბატონ ჯუმბერ დუნდუას ჯილდოს და უსურვებენ წარმატებებს ჰირად თუ შემოქმედებით ცხოვრებაში.

გაზეთ „გურიის მოამბის" ვებ-გვერდის გატეხვის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა

media.ge: გაზეთ „გურიის მოამბის" (ოზურგეთი, დასავლეთ საქართველო) ვებ-გვერდის გატეხვის ფაქტზე შინაგან საქმეთა სამინისტროს ოზურგეთის რაიონულ სამმართველოში გამოძიება 284-ე მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო, რაც კომპიუტერულ ინფორმაციასთან არამართლზომიერ შეღწევას გულისხმობს.

აღნიშნული ქმედება ისჯება ჯარიმით ან გამოსასწორებელი სამუშაოთი, ან ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთით.

„გურიის მოამბის" მიერ 29 სექტემბერს გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ გამოცემის საიტზე ჰაკერული თავდასხმა 27 სექტემბერს მოხდა, რის შემდეგაც ვებ- გვერდი ორი დღით გაითიშა.

გურიის მოამბის" რედაქცია ეჭვობს, რომ თავდასხმის მიზეზი ლანჩხუთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელის ნათია ურუშაძისა და ლანჩხუთის მესამე საჯარო სკოლის დირექტორის ლამზირა კერვალიშვილის დაპირისპრების შესახებ მომზადებული მასალა გახდა. რედაქციის ცნობით, შეტევის შედეგად ვებ-გვერდიდან ამ დაპირისპირების ამსახველი მასალები წაიშალა. თუმცა გაზეთი აქვე მიუთითებს, რომ მისთვის უცნობია, ჰაკერული თავდასხმის კონკრეტული მიზეზები.

media.ge ურუშაძეს დაუკავშირდა, თუმცა, მან ამ თემაზე კომენტარი არ გააკეთა.

სამოქალაქო რეესტრის ოზურგეთის სამსახური გილოცავთ მასწავლებლის დღეს!

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოზურგეთის სარეგისტრაციო სამსახური გილოცავთ მასწავლებლის დღეს!

„ვაჩუქოთ ერთმანეთს სიყვარული“

მარი პოპოევი

ქვემო ნატანების საჯარო სკოლის მოსწავლეებმა სოფლის უხუცესი ადამიანის, II მსოფლიო ომის მონაწილის კასიანე ღელეყვას დახმარება გადაწყვიტეს.

–„ეს ერთ-ერთი საუკეთესო კლასია ჩვენს სკოლაში. შემოქმედებითი ბავშვები არიან, მოტივირებული, საიმედოები და მეგობრულები“–ასე ახასიათებს ქვემო ნატანების საჯარო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი გულნარა ნაკაიძე თავის ასადმრიგებლო მე-9 კლასს, რომელშიც 34 ბავშვი სწავლობს.

გულნარა მასწავლებელი და მისი მოსწავლეები, როგორც თავად ამბობენ, შეხმატკბილებულად მუშაობენ,–ხშირად მართავენ კლასის კრებებს. ერთ-ერთ ასეთ კრებაზე გაჩნდა იდეა, სოფელ ნატანების ერთ-ერთი უხუცესისათვის, 89 წლის კასიანე ღელეყვასათვის, რომელიც სახლში მარტო ცხოვრობს, დახმარების ხელი გაეწოდებინათ. ადგილობრივი მცხოვრებლებისათვის საყვარელი მოხუცი კასიანე ღელეყვა II მსოფლიო ომის მონაწილეა. მეუღლე რამდენიმე წლის წინ გარდაეცვალა. ჰყავს შვილები, ისინი ხშირად სტუმრობენ, მაგრამ მუდმივად მასთან ვერ ცხოვრობენ. ამიტომ გადაწყვიტეს მოსწავლეებმა მარტო მცხოვრებ მოხუცთან მისულიყვნენ და საოჯახო საქმეებში დახმარებოდნენ.

–„ბატონი კასიანე საუკეთესო ადამიანია და ეს იციან ბავშვებმა. ცდილობენ მოეფერონ და სითბო გამოხატონ მის მიმართ. პირველი შემთხვევაა, როცა მსგავსი იდეა გაუჩნდათ ბავშვებს. მინდა გითხრათ, რომ ეს ერთჯერადი აქცია არ იქნება და ჩვენ ხშირად მოვალთ ჩვენს უხუცეს თანასოფლეთან და როგორც შეგვიძლია დავეხმარებით.“ –გვითხრა ქალბატონმა გულნარა ნაკაიძემ.

–„ასეთ ადამიანებს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ, ძალიან კარგი ჟესტია თქვენთგან ყურადღების ამგვარი გამოვლინება. მადლობა ამისათვის. მე გირჩევთ და გთხოვთ, რომ ყოველთვის ყურადღებიანები იყოთ უფროსი ადამიანების მიმართ. ეს მხოლოდ დაამშვენებს თქვენ საქციელს“-უთხრა ბავშვებს სკოლის დირექტორმა ლავრო კოსტავამ.

ბავშვები კასიანე ღელეყვას საოჯახო საქმეებში დაეხმარნენ. ახალი ამბების გასაცნობად პრესა მიუტანეს. გამხიარულების მიზნით, სიმღერები და ცეკვები შეუსრულეს. ყველაფერი ამის გამო მოხუცი ძალიან ნასიამოვნები და კმაყოფილი ჩანდა.

გამომშვიდობების დროს ბავშვებმა პირობა დადეს, რომ მოხუცს ისევ ესტუმრებიან.

ოზურგეთელმა მოჭიდავეებმა სენაკშიც ისახელეს თავი

23-25 სექტემბერს სენაკში ჩატარდა დამსახურებული მწვრთნელების ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში კარლო ჯოჯუას, ალეკო მურღულიას, ასევე მსოფლიო ორგზის ჩემპიონის შოთა მორჩილაძის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი.

ტურნირში საქართველოს და სომხეთის 21 გუნდი, 120 სპორტსმენი მონაწილეობდა.

ტურნირში მონაწილეობდა იური სიორიძის სახელობის კლუბი „ფალავანი,“ მისი ფილიალი –შემოქმედის „ფალავანი,“ და ლიხაურის საჭიდაო კლუბი.

აღნიშნული კლუბის სპორტსმენებისაგან ტურნირის გამარჯვებულები გახდნენ: გიორგი თოხაძე (შემოქმედი); იური ლომაძე, გიორგი ხუჭუა(42, 54 კგ. ორთავე „ფალავანი“); ვერცხლის მედალს 74 კგ. წონით კატეგორიაში დაეუფლა ვასილ თავბერიძე („ფალავანი“). III საპრიზო ადგილზე გამოვიდნენ გიორგი ბაკურაძე(50კგ. შემოქმედი) და თემურ კვაჭაძე (58 კგ. ლიხაური).

თურნირზე გამოსვლა კარგად დაიწყო მიშიკო გაბედავამ., მაგრამ მან ტრავმის გამო შეჯიბრება ვერ გააგრძელა.

სპორტსმენები და კლუბის ხელმძღვანელები ტურნირზე გამგზავრებაში დახმარებისათვის მადლობას უხდიან ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებს ალეკო მამეშვილს, ილია ვაშაყმაძეს, გუბერნატორის მოადგილეს ლაშა შაფაქიძეს, ასევე თემურ ჯახვას, ბესო ლომინაძეს, გოჩა გაბედავას.

პრესრელიზი

„უპატრონო უბანი“

ჩვენ, "თავისუფალი დემოკრატები" სოფელ მელექედურის ერთ-ერთი უბნის (გაღმა მელექედური, წულუკიძის ქუჩის ბოლო) მოსახლეობას შევხვდით. სხვადასხვა სოციალური პრობლემითა და მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურით შეწუხებულმა მოსახლეობამ, თავიანთი პრობლემები პარტიის ლიდერს თემურ სალუქვაძეს გაუზიარეს.

გაფუჭებული გზა, გარე განათებისა და სანიაღვრე არხების არ არსებობა, წყლის პრობლემა, ინდივიდუალური მრიცხველების არ ქონა, ტოტალური უმუშევრობა და ახალგაზრდობის მიგრაციის მაღალი დონე - ეს ის მცირედი ჩამონათვალია რაც უბნის თითოეულ მოსახლეს აწუხებს. ჩვენს მიერ დასმულ შეკითხვაზე: თუ რა სახელით იცნობენ ამ უბანს სოფელში, რათა მათ შესახებ უფრო კონკრეტულად მიგვწოდებინა ინფორმაცია საზოგადოებისა და მათ შორის ადგილობრივ ხელისუფლებითვისაც, იქ მცხოვრებლებმა ნახევრად ხუმრობით გვიპასუხეს, რომ ეს "უპატრონო უბანია". მიტოვებული უბნის განცდას კიდევ უფრო მეტად ამძაფრებს საზოგადოებრივი ტრანსპორტისა და შიდა კომუნიკაციის უქონლობა.

სამწუხაროდ, ხელისუფლების მხრიდან ასე გაპირებული სოფლის პროგრამის არსებობის შესახებ მათ არაფერი იციან, და შეეხება თუ არა ამ უბანს რაიმე ფორმით ესეც კი საეჭვოა.

ჩვენ, "თავისუფალი დემოკარტები", შევხვდით რა ამ უბნის მოსახლეობას და გავეცანით მათ პრობლემებს, გვსურს, კიდევ ერთხელ მოვუწოდოთ და შევახსენოთ ხელისუფლებას, რომ სოფელ მელექედურში არსებობს უბანი, რომელსაც ყურადღება სჭირდება, მით უმეტეს, რომ ეს თქვენი პირდაპირი მოვალეობაა.

„თავისუფალი დემოკრატების“ ოზურგეთის ორგანიზაცია

ოზურგეთელი „არწივები“ მეორე წრეში უკეთეს თამაშს აჩვენებენ

ამჟამად მსოფლიოს რაგბის მოყვარულთა ინტერესში ახალი ზელანდიაა, სადაც წარმატებული თამაში აჩვენა ქართველმა მორაგბეებმა. მათ სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიეს შოტლანდიელებს, შემდეგ მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს ინგლისის ნაკრებსაც კი დაუდეს ლელო და რუმინელებს შავი დღე აყარეს, დიდი უპირატესობით მოიგეს. საქართველოს ნაკრების მომავალი წარმატებების გარანტიაა თუ როგორ განვითარდება სპორტის ეს ვაჟკაცური სახეობა რეგიონებში.

ოზურგეთის „არწივები“ საქართველოს პირველობის გათამაშების II წრეში უკეთ ასპარეზობს. თუ რა ცვლილებებია კლუბში, ამაზე კლუბის პრეზიდენტი **ზვიად უნგიაძე** გვესაუბრა:

–2 თვეა რაც „არწივებს“ გამოცდილი მწვრთნელი გელა ფირცხალავა ჩაუდგა სათავეში და გუნდი საგრძნობლად გაძლიერდა.

პირველ წრეში ქუთაისში „ბაგრატთან“ 90:0 დავმარცხდით. ოზურგეთში „არწივებმა“ უკომპრომისო ბრძოლა გაუმართეს ქუთაისლებს და გაიმარჯვეს 21:19.

ფოთელ მორაგბეებთან I წრეში საკუთარ მოედანზე დავმარცხდით 45:17. სასასუხო მატჩს ფოთში პიორველ პერიოდში 15:3 იგებდნენ. სამწუხაროდ, II ნახევარში მსაჯებმა არაობიექტურად იმსაჯეს და დავმარცხდით 20:15.

საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ თბილისის „ხულიგანასთან“ I წრეში დიდი ანგარიშით 135:0 დავმარცხდეით. ოზურგეთში „არწივებმა“ ამ გუნდს I პერიოდი 8:5 მოუგეს. შემდეგ გამოცდილებამ მისი ქნა და 32:16 დავმაცხდით.

შეიძლება ზოგს გაუჩნდეს კითხვა, თუ მარცხდებით რა წინსვლაა, მაგრამ გუნდს აშკარად ეტყობა მწვრთნელის ხელი და სწრაფვა გამჯვებისაკენ ყველაზე ძლიერ მეტოქესთანაც კი.

არ შეიძლება არ აღინიშნოს გურიის გუბერნატორის ვალერი ჩიტაიშვილის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ალეკო მამეშვილის თანადგომა. მათ დაგვიფინანსეს და ორკვირიანი შეკრება გაიარა „არწივებმა“ შეკვეთილში.

გუნდს მხარში უდგას შპს „ვასაძის პური“ და პირადად მერაბ ვასაძე. მან არაერთხელ შეუძინა გუნდს ფორმა და მისი მხარდაჭერა გვაქვს მუდმივად. ასევე გუნდს ქომაგობენ ვასილ ბეშიტაიშვილი, ვანო ტაბატაძე, მიხეილ გოგოტიშვილი, გიორგი შილაკაძე, გოჩა კვირჩილაძე, ბაკურ შარაშიძე, ალიკა ქართველიშვილი, გელა შაფაქიძე, აქილევს ლაზარიდისი, გურიის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე ლაშა ლომაძე.

ზვიად უნგიაძემ ასევე გვითხრა, რომ უახლოეს ხანში უნდა შეიქმნას რაგბის ფან-კლუბი.

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 858 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru